საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

**შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება "სოლო"-ს დირექტორი**
შალვა ობოლაშვილის
ტელ: 595 22-55-85
solocement@gmail.com

განცხადება

შპს „სოლო"-ს გააჩნია გარემოსდაცვითი ნებართა გაცემული იყო 10 ტ/სთ რაოდენობის ცემენტის წარმოებაზე, რომელიც დღეში 12 საათიანი სამუშაო რეჟიმით 120 ტ. ხოლო წელიწადში 300 სამუშაო დღით 36000 ტონა ცემენტი იწარმოება. საწარმოში დაგეგმილია ძირითადად 300, 400 და 500 მარკის ცემენტის წარმოება.

ქვეყანაში ცემენზე მოთხოვნილებაზე გაზრდის გამო, საწარმოში დაიგეგმა საწარმოს წარმადობის გაზრდა, კერძოდ ახალი 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მონტაჟი დღეში 12 საათიანი სამუშაო დღის 16 საათიანი სამუშაო დღით გაზრდა, ანუ 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის დაგეგმილი წლიურად გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ტოლი იქნება 30x16x300=144000 ტ/წელ.

30 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მონტაჟისა და შესაბამისი ნებართვის აღების შემდეგ არსებული 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილი გადავა სათადარიგო რეჟიმში, კერძოდ მისი ჩართვა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევასი, როცა 30 ტ/სთ წარმადობის წისქვილი გადავა სარემონტო რეჟიმში, ანუ მისი მუშაობის მაქსიმალური დღეების რაოდენობა მოსალოდნელია 60 დღე და შესაბამისად დღეში 16 საათიანი სამუშაო რეჟიმით ის გამოუშვებს 10x16x60=9600 ტ/წელ.

ასევე ცემენტის სილოსებს დაემატება სამი სილოსი, თითეული 130 ტონა ტევადობით, რომლის შემდეგ სულ იქნება 8 სილოსი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს 2 დანართის 5.4 მუხლის შესაბამისად საქმიანობა სკრინინგის დასკვნის (ბრძანება 2-200, 10/02/2021 წ.) საფუძველზე დაექვემდებარა სკოპინგის ანგარიშის მომზადებას.

№ 4113
"10" 03 2021
2/49.52

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სოლო"-ს ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

შალვა ობოლაშვილი
დირექტორი

8.03.2021

SOLO
405219972
GEORGIA. "SOLO" LTD